# კომუნისტი

1975 ივნისი 6 ოთხშაბათი № 157 (16283) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან


XXV

**სკკპ XXV ყრილობის შესახებ**




ამჟამად ყოველ მეოთხე მილს, რომელიც საბჭოთა კავშირში მზადდება, ტაგანროგის მეტალურგიული ქარხანა უშვებს.

მილების გამოშვების ზრდას ხელი შეუწყო წარმოების რეკონსტრუქციამ, რომელიც გათვალისწინებულია მეცხრე ხუთწლედის გეგმით. ქარხანაში დამონტაჟებულია სამამულო წარმოების უნიკალური მილების შესადუღებელი დაზგა. იგი წუთში 1.200 მეტრ მილს აწარმოებს.

წარმოების გაფართოება კარგად არის შერწყმული ხარისხის ზრდასთან.

**სურათზე:** საბურღავი მილების ერთი პარტია.

ფ. კოზისაროვის ფოტო (ახალი ამბების სააგენტო).

## „სალუტ-4“: ასტროფიზიკური კვლევა გრძელდება

ფრუნზე, მართვის ცენტრი, 5 ივლისი (საკადრო). იწყება პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვის კოსმოსური ფრენის მეექვსე კვირა. „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟის მორიგი სამუშაო დღე გუშინ მოსკოვის დროით 21 საათსა და 30 წუთზე დაიწყო და გრძელდებოდა 5 ივლისის 12 საათამდე.

რენტგენული ტელესკოპ-სპექტრომეტრის საშუალებით კოსმონავტები იკვლევდნენ ფარგლისა და მორიელის თანავარსკვლავედებში რენტგენის წყაროების მახასიათებლებს. წინასწარი მონაცემებით, ფიქსირებულია ფარგლის თანავარსკვლავედის 10-1 წყაროს გამოსხივების ნაკადების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სადგურიდან დაკვირვებებთან ერთდროულად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური ასტრონომიული ობსერვატორია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს, დედამიწიდან აკვირდებოდა მორიელის 10-1 რენტგენის წყაროს ოპტიკურ დიაპაზონში.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების შესაბამისად, ამხანაგები კლიმუკი და სევასტიანოვი თავს კარგად გრძნობენ. სადგურის საბორტო სიხტემები ნორმალურად მუშაობს. სადგურის სათავსებში მიკროკლიმატის პარამეტრებია: ტემპერატურა—20 გრადუსი ცელსიუსით, წნევა — ვერცხლის წყლის სვეტის 810 მილიმეტრი, შედარებითი ტენიანობა — 59 პროცენტი.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კვლევა გრძელდება.

## „კოსმონავტი იური გაგარინი“: ექსპერიმენტისათვის მზად არის

კავშირბაბმულობის დიდ რგოლში „დედამიწა-კოსმოსი-დედამიწა“, რომელიც ამოქმედდებს „სოიუზ“ და „აპოლონ“ ხომალდების ერთობლივი ფრენის დროს, დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითს გემებს. მათ ეკიპაჟებთან კავშირი იმ დროს უნდა დაამყარონ, როცა კოსმოსური ხომალდები ჩვენი დედამიწისზედა პუნქტების რადიოხილვადობის ზონის გარეთ იქნებიან.

ხომალდ „კოსმონავტი იური გაგარინის“ კაპიტანმა ლევ ფილიპეს-ძე კრავცოვმა და ექსპედიციის უფროსმა იური ვასილის-ძე დულინმა ჩრდილოეთ ატლანტიკიდან გამოგზავნეს რადიოგრამა, რომ საბჭოთა კოსმოსური ფლოტის ფლაგმანი მზად არის მომავალი ექსპერიმენტისათვის.

— ჩვენი ხომალდის ეკიპაჟმა და მეცნიერთა კოლექტივმა, — იუწყებიან ისინი, — შედმიწევნით შეისწავლეს ფრენის გრაფიკი. შედგენილია საჭირო ხამუშაო დოკუმენტაცია, დაკომპლექტებულია ცვლები კოსმოსური ხომალდიდან ყველა სახეობის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავებისათვის.

ახლა „კოსმონავტი იური გაგარინი“ უზრუნველყოფს კავშირგაბმულობას „სალუტ-4“ ორბიტული სადგურის ფრენის დროს.

## დაჯილდოება

**მეცხრე** ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა შესრულებაში დიდი წარმატებებისათვის ზაპოროჟიეს ფ. ენგელსის სახელობის კაბელის ქარხანა „ზაპოროჟკაბელის“ მეიზოლაციეს ნადეიდა პეტრეს ასულ ლაგნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 4 ივლისს ბრძანებულებით მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.


# ახალგაზრდული ფაფხული

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სიჩუმემ დაისადგურა. სწავლა-აღზრდის პროცესი შეუდგა კლას-კაბინეტებში, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში. მაგრამ ეს პროცესი სულ სხვა ვითარებაში გრძელდება ყველგან, სადაც კი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობაა. პიონერული ბანაკები და ტურისტული ბაზები, ლაშქრობები შუბლიერ მხარეში, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები და, ბოლოს, შრომის ფერხული, რომელშიც ხალისით ჩაება ჩვენი უფროსი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, თავისებურ სკოლას წარმოადგენს ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის ჩამოყალიბებისათვის.

საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებული მოსწავლე თუ სტუდენტი თითქოს ძნელად საცნობი ხდება. თითქოს ორ-ორთვენახევარი კი არა, წლები არ გენახოთ, იხე შეცვლილა, ფიზიკურად გაკაჟებული, დავაჟკაცებული, მზით გარუჯული, ხალისითა და სიცოცხლით სავსე გამხდარა. ზაფხულის ორ-ორთვენახევარში, მას თითქოს ტანიც აუყრია, მკლავში ძალა მომატებია, გამდიდრებული გაფართოებული მხიოლება და მისწრაფებანი. ყოველივე ამის შემძლეა ეს ზაზაფხულო არდადეგები, როცა მან გონივრულად, ორგანიზებულად, გეგმიანად ატარებენ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდები. საქართველოს კომკავშირმა ჯერ კიდევ არდადეგების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეიმუშავა ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური დასვენებისათვის, მათი შრომითი სემესტრისათვის, განათლების ორგანოებთან, პროფესიულ კავშირებთან, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან, შესაბამის სამინისტროებთან და საწარმოებთან ერთად მან დიდი ზრუნვა გასწია პიონერიული ზაფხულის სინტერესოდ მოწყობისათვის. ცხადია, ყოველ ამ ღონისძიებას მუდამ თან ახლავს პარტიული ორგანიზაციების ზრუნვა ბავშვებისათვის, ახალგაზრდობისათვის.

ზაფხულის არდადეგები დიდ ხაზრუნავს უჩენს საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა. რომ ჩვენი პიონერული ბანაკები საუკეთესო კერებად ვაქციოთ ნორჩი თაობის აღზრდის, ფიზიკური და სულიერი სრულყოფის პროცესისათვის. ამიტომაც არის მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში საერთო-სახალხო საქმედ ქცეული. მარტო პროფკავშირების ხაზით რესპუბლიკაში 360 პიონერული ბანაკია, სადაც 110 ათასზე მეტი ბავშვი დაისვენებს, სახელმწიფო ამ საქმისათვის 4 მილიონ მანეთზე შეტ თანხას ხარჯავს.

ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ჩვენი ქვეყანა თვალწარმტაცი მთებით, მომხიბლავი ხეობებით, ზღვით და მდინარეებით, მზით და ჰაერით. პიონერული ბანაკები სწორედ ასეთ თვალწარმტაც მიდამოებში, საგარეჯო ადგილებშია გამართული. ყველაფერი ბავშვებს, ყველაფერი კარგი მათს დასვენებასა და ჯანმრთელობას!...

აღზრდის საუკეთესო კერებს წარმოადგენენ ჩვენი პიონერული ბანაკები შავი ზღვის სანაპიროზე, ბორჯომის ხეობაში, მაღალმთიან ბანაკებში. ისევე როგორც გასულ წელს, წელსაც ჩვენს პიონერთა ბანაკებში ზაფხულს გაატარებენ მოსწავლეები მოძმე რესპუბლიკებიდან. სასიხარულოა, რომ წელს პიონერთა ბანაკებში ჩვენი სტუმრები იქნებიან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა ბავშვები. ეს ბანაკები გახდებიან ჩვენი ნორჩი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის გრძნობით აღზრდის კერებად. და მოძმე რესპუბლიკებში თან წაიღებენ ნორჩი სტუმრები წარუშლელ შთაბეჭდილებებს არა მარტო ჩვენი ბუნების მომხიბლავობაზე, არამედ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის გულის სითბოზე.

პარტია და მთავრობა შეუნელებელ ზრუნვას იჩენენ პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. იქნება წელს 110 შრომისა და დასვენების ბანაკი 17.000 მოსწავლე ჰაბუკისა და ქალიშვილისათვის. თბილისიდან სხვადასხვა რაიონების ბაბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გაემგზავრა 2500 მოსწავლე. სულ შრომის ფერხულში ჩაბმულია რესპუბლიკის 160.000 მოსწავლე. ნავარაუდევია მათ 26,5 მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულონ. (შარშან 150.000 მოსწავლემ შეასრულა 25 მილიონი მანეთის სამუშაო). ეს ხომ დიდი განძია, დიდი შრომითი შემართებაა! მაგრამ აქ განძი არის არა მარტო გამომუშავება, მატერიალური დოვლათი, არამედ აგრეთვე სულიერი სიმდიდრე მოსწავლე ახალგაზრდობისა, სამშობლოსათვის რომ შრომობს.

60 საქალაქო პიონერული ბანაკი მოემსახურება შინ დარჩენილ ბავშვებს რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში. არც ერთი დღე და საათი არ უნდა იყოს ბავშვები პედაგოგიური კოლექტივების, სპორტული ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, ცხადია, კომკავშირული ორგანიზაციების უურადღების მიღმა საქალაქო პიონერული ბანაკები ხომ ეწყობა სკოლებთან, კლუბებში, კულტურის სასახლეებსა და სახლებში, კულტურისა და დასვენების პარკებთან სპორტული ნაგებობების ბაზაზე, ყველა ბავშვმა უნდა ჰპოვოს ამ ბანაკებში ხალისიანი, შინაარსიანი დასვენების საშუალება.

განსაკუთრებულია ზრუნვა სანატორიული ტიპის ბანაკებისათვის, სადაც სუსტი ჯანმრთელობის ბავშვები ისვენებენ და ჯანსაღდებიან. წელს 2.500 ბავშვი გაიგზავნა დასვენებისა და. მკურნალობის ასეთ ბანაკებში, ათასით მეტი, ვიდრე შარშან. ახლა მთავარია, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ამ სანატორიუმებმა მიაღწიონ მაღალ ეფექტურობას.

შშობლიურ მხარეში სალაშქროდ ტურისტული მატარებლებითა და ავტობუსებით გაემართებიან მოსწავლეები. ფართო, შინაარსიანი, მიზნიდველი მუშაობის გაწევა გვმართებს ნორჩ მოლაშქრეებთან, მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა უბანზე მძლავრად იგრძნობა ის გამაჯანსაღებელი ატმოსფერო, რომელიც პროგრესს ემსახურება. დიდი ძვრები ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაშიც. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ჩვენს უმაღლეს სკოლებში იზრდებოდნენ ნამდვილი სპეციალისტები, ხამშობლოს პატრიოტი ახალგაზრდები, მზადმყოფნი ემსახურონ ხამშობლოს, ხალს. წლეკუმნდელი ზაფხული ამის დადასტურება უნდა იყოს.

სტუდენტურმა მჩქეფარე ცხოვრებამ შრომითს ობიექტებზე გადაინაცვლა. რესპუბლიკის გარეთ, სხვადასხვა მშენებლობებზე გაემგზავრა სტუდენტთა 6 რაზმი. მარტო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან 1600-კაციანი რაზმი გაემგზავრა სმოლენსკის ოლქში, ქ. როსლავლში და ზუმიაჩის რაიონში. როსლავლში ქართველი სტუდენტები იმუშავებენ მსოფლიოში უველაზე დიდი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე. აღსანიშნავია, რომ აქ მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტები იმუშავებენ, ამავე ინსტიტუტის 40 სტუდენტი, ინტერნაციონალური რაზმის შემადგენლობაში, იმუშავებს ქ. გაგარინში, პირველი კოსმონავტის მემორიალის მშენებლობაზე. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ობიექტებზე წავიდა 8.000 სტუდენტი.

საზრუნავი დიდია. ახალგაზრდობის შრომასა და დასვენებას ყურადღება არ უნდა მოაკლდეს. როგორც ამ ბოლო წლებში, კომკავშირმა ახლაც უნდა გვიჩვენოს თავისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი. გაიყოლიოს ათასობით და ათეულ ათასობით მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა პარტიის მოწოდებით იმ დიადი საქმისათვის, რასაც ახლი საზოგადოების მშენებლობა ჰქვია. მუდამ გვახსოვდეს ლ. ი. ბრეჟნევის ნათქვამი: „შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით ვაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდა ყოველთვის იყო და დარჩება კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი“.

ლენინელი
ლენინის სახელობის
ქალაქ
ბრიგადა
ბაბჭოთა
ბრიგადა
ლენინელ
ბრიგადა
ლენინელ
ბრიგადა
ლენინელ

# მშვიდობისათვის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში

## სამეცნიერო კონფერენცია კავშირების სახლში

4 ივლისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კომუნისტური მოძრაობა მშვიდობისათვის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში". (კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის 40 წლისთავისათვის). კონფერენციის ორგანიზატორები არიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერნი, პარტიული და საზოგადო მოღვაწენი, და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი.

კონფერენციის სტუმრები არიან მოსკოვში მყოფი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი. მათ შორის — ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. არისმენდი, ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. კ. პრესტენი, დანიის კომპარტიის თავმჯდომარე კ. ინპერსენი, ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. შაფი.

კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ბ. ნ. ფედოსეევმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და მთელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის განვითარებაში, თქვა მან, არის ღირსსახსოვარი მოვლენები და თარიღები, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები. მისი წინსვლის ასეთ მოვლენებს მიეკუთვნება კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესიც.

კონგრესმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინური თეორიით, შემოქმედებითად იყენებდა და ავითარებდა მას, მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებმაც გამოხატა საერთაშორისო მუშათა კლასის ობიექტურად მომწიფებული მთანხოვნილებები, სტიმული მისცა ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის ახალ აღმავლობას. კონგრესის მიერ მიღებულმა დოკუმენტებმა არსებითი წვლილი შეიტანა რევოლუციური საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში.

კომუნისტები თავიანთ საქმიანობაში ყოველთვის ერთგული არიან საერთო, თავისი არსით ინტერნაციონალური მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა, მათ ახასიათებთ ნამდვილად შემოქმედებითი მიდგომა განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტუალური საკითხებისადმი. ისინი ახამებენ რევოლუციური პრინციპულობასა და ტაქტიკურ მოქნილობას, საზოგადებრივი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით ახალი ლოზუნგების თამამ წამოყენებას და რეალისტურ მიდგომას მათი პრაქტიკული განხორციელებისადმი. სწორად ასეთ ზუსტი მეცნიერულობის, რეალიზმისა და მკაფიო პერსპექტივის ლენინურ ტრადიციებზე დამყარებულმა შეხამებამ უზრუნველყო კომინტერნის VII კონგრესის მიერ კოლექტიურად შემუშავებული პოლიტიკური ხაზის ეფექტიანობის მაღალი დონე. სწორედ ამიტომ მოახდინა მან დიდი და ნაყოფიერი ზემოქმედება მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემდგომ განვითარებაზე, მარქსისტული ანტიფაშისტური, დემოკრატიული მოძრაობის გაშლაზე.

კომინტერნის VII კონგრესის მიერ შემუშავებული სტრატეგიული ორიენტირები, აღნიშნა მ. ა. სუსლოვმა, როდი იყო თავდაცვითი. მარტოოდენ შემომტევი ფაშიზმისა და ომის საფრთხის მოგერიების ამოცანებით ნაკარნახევი. იგი ხელმძღვანელობდა უმნიშვნელოვანესი დასკვნით, რომ ფაშიზმის, იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ მუშათა კლასსა და მისი მოკავშირეებს ბრძოლას ახალ აღმავლობას, კომინტერნის მიერ მიღებულმა დოკუმენტებმა არსებითი წვლილი შეიტანა რევოლუციური საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას. ეს სტრატეგიული ორიენტაცია იყო სოციალიზმისათვის ბრძოლისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ერთიერთკავშირის შესახებ, ამ ბრძოლაში მუშათა კლასისა და მშრომელთა სხვა ფენების ფართო ერთიანობის შესახებ ლენინური მოძღვრების დაკონკრეტება და განვითარება. იგი ღრმად ითვალისწინებდა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს, ზოგადი დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების შემდგომ ობიექტურ დაახლოებასა და შერწყმას.

კომინტერნის VII კონგრესის იდეების ცხოველმყოფელი ძალა ღრმად გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომის წლებში. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა თავისი მხრებით ზიდა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე, იმ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც დამორჩილებულ ევროპა მთელ მსოფლიოს. ჩვენმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაამწყვეტი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე ისტორიულ გამარჯვებაში, რომლის 30-ე წლისთავი ზეიმით აღენიშნეთ ახლახან. ომის დღეებში საბჭოთა კავშირის გარშემო შეკავშირდნენ გეროსნელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი მთელი პროგრესული ძალები.

მსოფლიო უმაგალითოდ შეიცვალა ამასთან შედარებით, როგორიც იყო 40 წლის წინათ. თანამედროვე განვითარებას, თქვა შემდეგ ორატორმა, ყველაზე მეტად ახასიათებს შემდეგი თაქტორები. ჯერ ერთი. ეს გაზლავთ კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ეს მშენებლობა, მისი მიღწევები, სოციალიზმისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უპირატესობათა შეერთება და, კერძოდ, მეცხრე ხუთწლედის დამთავრება, რომელიც დიდი წინგადადგმული ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოში კლასობრივი ძალების თანაფარდობაზე, მთელი მსოფლიოს რევოლუციურ პროცესზე. მეორეა მსოფლიო სოციალისტური სისტემის — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთავარი მოსაბოვრის — დინამიკური განვითარება, ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცება, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარება.

მესამე გახლავთ საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი გამარჯვებები იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პარტია, თქვა შემდეგ ორატორმა, ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი რაზმი. იგი ყოველთვის გრძნობს, რომ განუზრელად დაკავშირებულია მის ბედთან, შეგნებული აქვს, თუ რა პასუხისგებლობა აკისია მასი საერთო საქმეებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მსოფლიო ბრძოლაში მისი როლისათვის. ლენინის დებეტის, ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი პოლიტიკით ცდილობს ხელი შეუწყოს ამ ბრძოლას, მთელი კაცობრიობის საზოგადოებრივ პროგრესს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომი განმტკიცება, მისთვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭება. 1975 წლის 13 ივნისს ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ანდანასგამ ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „ახლა მსოფლიოში იწყება ხანა, როცა წინა პლანზე დგება ამოცანა — ყოველდღიური პრაქტიკული საქმეებით შეავსოთ ნორაცი მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპები".

ჩვენ გადაჭრით უგულებელვყოფთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიათა სპეკულაციურ განცხადებებს და მონაჩმახს, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება მხოლოდ კომუნისტებისათვის იყოს ხელსაყრელი. დიახ, ჩვენთვის ეს ხელსაყრელია. მაგრამ იგი სჭირდება და ხელსაყრელია ყველა ხალხისა და მნიშვნელობას ამ ფონზე. ვ. ბრანდტმა ხაზი გაუსვა, რომ, მისი აზრით, ევროპაში ომის ფეხდერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მე-20 წლისთავს, ანაგრძო ვ. ბრანდტმა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: მარტოოდენ დიპლომატიური ურთიერთობა არ არის ურთიერთობის ნორმალიზაციის მაჩვენებელი. ურთიერთობა რომ 1955 წლიდან დავამყარეთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იმან. რაც 15 წლის შემდეგ დავიწყეთ ახალი საფუძველი შეექმნა ჩვენს ურთიერთობას. 1970 წლის აგვისტოს ხელშეკრულებას არაგისათვის არ მიუღნიბია ზიანი: იგი სასარგებლო გამოდგა არა მარტო ჩვენთვის არამედ ბევრი სხვა სახელმწიფოსთვისაც. ოთხი სახელმწიფოს 1971 წლის სექტემბრის შეთანხმებაც ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას ამ ფონზე. ვ. ბრანდტმა ხაზი გაუსვა, რომ, მისი აზრით, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების არსი იყო მტკიცე გადაწყვეტილება არ დაეშვათ ინტერესთა დაპირისპირებისა თუ უთანხმოების აღმოფხვრა ძალის გამოყენების გზით. ეს პოლიტიკური მრწამსი საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებად გადაიქცა.

დავის გადაწყვეტის დროს ძალის გამოყენებაზე უარის თქმა ფუძემდებელი პრინციპია, რომელიც მარტო დღეს როდი მოქმედებს. არ შეიძლებოდა და არ შეიძლება ჩვენს ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულება ტაქტიკის საკითხად მივიჩნიოთ. იგი დროით შეუზღუდავია.

თავის გამოსვლის დასასრულს ვ. ბრანდტმა თქვა: მე-2.000-ე წელი ახლა უფრო ახლოა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დასასრული. თუ წინ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ დაძაბულობის შენელება და საქმიანი თანამშრომლობა — ეს არის პერსპექტივა, რომელსაც არა აქვს ალტერნატივა.

ჩვენი აზრით, ორივე მხარისათვის კარგი რჩევაა: გაბედულად განვაგრძოთ გზა, გამოვიჩინოთ რეალიზმი და წინდახედულობა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ულრიხ ზამმა 4 ივლისს გამართა დარბაზობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი მეუღლითურთ. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით.

მოსკოვის ვაგზალში ვ. ბრანდტს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ლენინგრადი, 5 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი მეუღლითურთ. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით.

მოსკოვის ვაგზალში ვ. ბრანდტს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ლენინგრადი, 5 ივლისი. (საკდესი). დღეს ლენინგრადში ჩამოვიდა ვ. ბრანდტ მეუღლითურთ. ისინი ჩავიდნენ ლენინგრადში ავიაფრენით. ბ. ნ. პონომარიოვი, ლენინგრადის საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ბ. ბოლშაკოვი, ლენინგრადის ოლქკომის პირველი მდივანი ბ. ბ. ბაბაევი, ლენინგრადის ოლქკომის

„კომუნისტის“ ინტერვიუ

# სტუდენტობა ღირსეულთა ხვედრია

მისალები გამოცდების გამო რდაქციაში მკითხველთა მრავალი წერილი და შეკითხვა მოდის. მომავალ აბიტურიენტებს განსაკუთრებით აინტერესებთ, თუ როგორი იქნება 1975-76 წლის მისაღები გამოცდები თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. კორესპონდენტი რ. ბაბუნაშვილი ესაუბრა ინსტიტუტის რექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პროფესორ პ. ვირსალაძეს, რომელმაც პასუხი გასცა რამდენიმე შეკითხვას.

**— როგორია 1975-76 წელს სტუდენტთა მიღების კონტინგენტი?**

— წლეულს ინსტიტუტში ჩასაბარებლად სტუდენტთა კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა. პირველ კურსებზე 750 სტუდენტი გვყოლია. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქედან 150 მოსამზადებელი განყოფილებიდან ჩაირიცხენი. ეს იმას ნიშნავს, რომ შუამისა და კოლმეურნეს საგზურით მოსულთა წილი მეტი იქნება გასულ წლებთან შედარებით.

შესაბამისად, დარჩენილი 600 ადგილი ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: სამკურნალო ფაკულტეტის ქართულ სექტორზე — 226, სამკურნალო ფაკულტეტის რუსულ სექტორზე — 69, პედიატრიულ ფაკულტეტზე — 120, სანიტარულ-ჰიგიენურზე — 60; სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე — 40, ხოლო ფარმაცევტულ ფაკულტეტზე — 85. ამ მონაცემებს საიდუმლოდ არ ვინახავთ და წინასწარ გაქვეყნებთ, იმის გამო, რომ მომავალში აბიტურიენტმა იცოდეს, თუ რა ძნელ პირობებში მოუხდება ბრძოლა.

მე მინდა განვუმარტო აბიტურიენტებს, რომ ექიმის პროფესია ძალზე რთულია, რომ მისი სრულყოფილად დაუფლება ღრმა ცოდნას და დიდ ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ შემთხვევითობით ან მშობლების რჩევით ექიმის პროფესიისადმი სწრაფვას არაგეს ვურჩევ. თვითონ მომავალმა სპეციალისტმა უნდა გადაწყვიტოს არის თუ არა შესაფერისი ამა თუ იმ პროფესიისათვის. როგორც ცოდნით, ისე ფიზიკურად.

მომავალი სტუდენტის ფიზიკურ მონაცემებზე მწარე გამოცდილება მალაპარაკებს. მე იმ სტუდენტებს ვგულისხმობ, რომლებიც ავადმყოფობის მიზეზით თავს ირიდებენ რაიონებში სამუშაოდ ან პროექტიკაზე წასვლას. ბევრი მათგანი ყოველივე ამას ანგარიშს არ უწევს. მე მინახავს, მისალებ გამოცდებამდე როგორ ზეერავს ზოგიერთი მშობელი სხვადასხვა ფაკულტეტებზე შეტანილი განცხადებების რაოდენობას და საბუთები მექანიკურად იქ შეაქვს, სადაც კონკურსი ნაკლებია. ესენი ძირითადად კონკურსში იოლად გასვლის მოწადინენი არიან და, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ისინი ყველაზე ცუდ ნიშნებს იღებენ როგორც ზეპირ, ისე წერითს ნამუშევრებში.

**— როგორ იწარმოებს მისაღები გამოცდები?**

—წლევანდელ მისაღებ გამოცდებზე ბევრი ცვლილებაა. ჯერ ერთი, ბიოლოგიისა და ქიმიაში მხოლოდ ზეპირი გამოცდა იქნება. ფიზიკისა და ქართული ლიტერატურაში კი — წერითი. ამასთანავე მშობლიურ ლიტერატურაში წინათ არსებული წაკითხულის შინაარსის ნაცვლად იქნება თხზულება (თემა). გამოცდაზე დასახელებული სამი თემიდან ერთი თავისუფალი იქნება და ორი — ლიტერატურიდან. წერითი გამოცდების დროს ფართოდ გამოვიყენებთ საჯაროობის მეთოდს და ტექნიკურ საშუალებებს, ადგილობრივ რადიოსა და ტელევიზიას, რომელშიც კარგი შედეგები მოგვცა გასულ წლებში აბიტურიენტების კონტროლის გაწევის, აგრეთვე „შაბრგალკების“ აღმოფხვრის საქმეში. ღია მეთოდით ჩატარდება აგრეთვე ზეპირი გამოცდები. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტ ოთახში გამოცდას ესწრება გამოსაცდელი ჯგუფის ყველა აბიტურიენტი, რომლებიც გამოცდის დაწყებიდან დამთავრებამდე უსმენენ ერთი-მეორის პასუხს. გამოცდას ორი მასწავლებელი მიიღებს. ყოველგვარი პრეტენზია ზეპირი გამოცდების მიმართ უშუალოდ გამოცდების გადაწყვეტილებ და საერთოდ არ იქნება მიღებული გამოცდის დამთავრების შემდეგ. პრეტენზიები მიიღება მხოლოდ წერით ნამუშევრებზე ნიშნის გამოცხადებიდან მეორე დღის 12 საათამდე. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

**— როგორი იქნება ჩარიცხვის პირობები?**

— პირველ რიგში ჩაირიცხებიან: მოსამზადებელი განყოფილებების მსმენელება, რომლებიც გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ დადებით შეფასებებს; ისინი, რომლებსაც საშუალო სკოლა ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი ოქროს მედალზე ან წარჩინების დიპლომით აქვთ დამთავრებული და მისაღებ გამოცდებზე პირველ სიგანში შეფასებას „ფრიადს“ მიიღებენ.

საწარმოო სტაჟის მქონე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან მათთვის გამოყოფილ ადგილებზე, ხოლო ისინი, ვინც ამ გამოყოფილ ადგილებზე არ ჩაირიცხება ადგილების უკმარისობის გამო, მოწაფლეობას მიიღებენ საერთო კონკურსში და მხოლოდ თანაბარ პირობებში ისარგებლებენ უპირატესობით. საერთოდ, ჩარიცხვის ყველაფერს ვითვალისწინებთ, რაც შეტყველებს აბიტურიენტთა ღრმა ცოდნაზე და თანაბარ პირობებში უპირატესობას იმათ ეძლევთ, ვისაც მეტი საწარმოო სტაჟი აქვს, ატესტატის მაპროფილებელ საგნებში მიღებული მაღალი ნიშნები აქვს და სხვ.

სტუდენტობა მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია. მისაღებ გამოცდებზე მკაცრი ობიექტურობა იქნება. თვითეულმა აბიტურიენტმა და მისმა გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ წლევანდელ დიდ კონკურსში ღრმა ცოდნის და პატიცეკ ნებისყოფის ახალგაზრდები გაიმარჯვებენ, ე. ი. ისინი, ვინც ღირსია გახდეს მედიცინის დარგის სპეციალისტი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

# ლენინური ნაბიჯები

## ეროვნული ურთიერთობანი თანამედროვე ეტაპზე

ჩვენი ხალხელოვანი თანამემამულენი

ბაკურ სულაკველიძე

ბაკარ თვალიაშვილი

ბაკურ ბაკურაძე

ბაკურ ბაკურაძე

ბაკურ ბაკურაძე

# მატარებლით — გამოქვაბულში

**გაიხსნა ახალი ათონის კარსტული მღვიმის კომპლექსი**

**4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** საზეიმოდ გაიხსნა ახალი ათონის კარსტული გამოქვაბულების კომპლექსი. ამდენი ხალხი არ ახსოვს ივერიის მთის კალთებს — აქ არიან მოსკოველებიდან, თბილისელებიდან, სოხუმელებიდან, აფხაზეთის რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ტურმრეები, აფხაზეთის სსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მღვიმის მკვლევარი მეცნიერები, დამპროექტებლები, მშენებლები, ინჟინრები, გვირაბგამყვანთა და მემონტაჟეთა ბრიგადის წევრები, დამსვენებლები, გუდაუთის რაიონის მოწინავენი და მრავალი სხვა სტუმარი.

საზეიმოდ გამოიყურება მიწისქვეშა ვაგზლის ფასადი — თვალსაჩინო არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც თავისი მსუბუქი კონსტრუქციით ეხმიზა ივერიის მთის კალთების სილამაზეს.

დამთავრდა ახალი ათონის მიწისქვეშა მუზეუმის კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოები და დღეიდან ათასობით დამსვენებელს, ტურისტსა და ექსკურსანტს საშუალება ეძლევა დათვალიეროს ბუნების ეს სასწაული.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. შარტავამ.

სიტყვა ეძლევა გუდაუთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მ. ახობას, რომელმაც მიტინგის მონაწილეებს გააცნო აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მშენებელი კოლექტივებისა და მოწინავე ადამიანების საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

დაჯილდოებულთა შორის არიან სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „თბილგვირაბმშენის“ სამმართველო, „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტი, მოსკოვის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტი „გიპროტეატრი“, „საქქალაქმშენსახპროექტის“ სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტი.

აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინკუბამ სიგელი გადასცა „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსს ვ. გოცირიძეს. მიტინგის მრავალრიცხოვან მონაწილეთა ტაშის გრიალში საპატიო სიგელებს იღებენ მშენებლობის უბნის უფროსი ა. ლობჟანიძე, მებეტონე-გამყვანი ი. გურჩენოვი, მებეტონე ი. კოჩკოვი, უბნის უფროსი ა. გაბეკია, ელექტროზენაკალი ი. იავანხიდი და სხვები.

ბ. შინკუბამ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს და აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მადლობა გამოუცხადა მშენებლებს და უსურვა შემდგომი წარმატებები.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა ჭრის ლენტს და პირველად ეძლევა სტარტი მიწისქვეშა მატარებელს, რომელსაც დამთვალიერებელთა პირველი ეშელონი მიჰყავს მიწისქვეშა მუზეუმისაკენ.

აი ადამიანთა თვალწინ გადაიშალა მიწისქვეშეთის საოცარი სამყარო, სადაც ბუნება მთელი ორი მილიონი წლის მანძილზე აშენებდა, აქანდაკებდა უიშვიათეს „ექსპონატებს“. ადამიანი მხოლოდ აქ შეხვდება კალციტის „ყვავილებს“, ასეულ ათასი წლის წინათ რომ ამოიწვარა ზეოკეანური ქანებიდან და დღემდე განაგრძობს ზრდას, გიგანტურ „სანთლებს“, ჩაბნელებულ დარბაზებში რომ კიაფობენ, კვეკასიონის უღელტეხილზე სიცოცხლის განჭვნის დღიდან და აქამდე არ ჩამქრალან...

თურმე აფხაზეთის ულამაზესი მთა-ბარი, ასე რომ ხიბლავს ადამიანს, მიწისქვეშაც თვალწარმტაცი ყოფილა.

**შ. აკობია,**
**ი. ბოგაჩია,**
**„კომუნისტის“ სპკ. კორ.**

**ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ**

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# სამგზ ᲙᲣᲗᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

**ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ**

**ᲝᲠᲘ** დღეა თბილისს სპორტის სასახლეში შემდინარეობს სსსპარტაკიადო ტურნირი სამბოში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ხუთი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. გუშინ საღამოს შედგა დასკვნითი ორთაბრძოლები.

48 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა შორის პაექრობა ჰქონდათ ბ. აკილოვსა (უზბეკეთი) და ა. ჟულანოვს (ბელორუსია). აქ წვრნდა გამარჯვება მოიპოვა ბ. აკილოვმა, რომელსაც მიეკუთვნა ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედალი დაიმსახურა ვ. კარანავსკიმ (ესტონეთი), ბრინჯაოსი — ა. ჟულანოვმა.

პრიზიორთა გამოსავლინებლად 57 კილოგრამამდე წონაში საჭირო გახდა ორი შეხვედრის გამართვა ფინალში. ჯერ ვ. კიულენენმა (ლენინგრადი) ჟულებით სძლია ნ. სულეიმანოვს (უკრაინა), ხოლო შემდეგ — ა. სონგაილას (ლიტვა). ოქროს მედალი მიჰყავს მიწისქვეშა მუზეუმისაკენ.

ეი ადამიანთა თვალწინ გადაიშალა მიწისქვეშეთის საოცარი სამყარო, სადაც ბუნება მთელი ორი მილიონი წლის მანძილზე აშენებდა, აქანდაკებდა უიშვიათეს „ექსპონატებს“. ადამიანი მხოლოდ აქ შეხვდება კალციტის „ყვავილებს“, ასეულ ათასი წლის წინათ რომ ამოიწვარა ზეოკეანური ქანებიდან და დღემდე განაგრძობს ზრდას, გიგანტურ „სანთლებს“, ჩაბნელებულ დარბაზებში რომ კიაფობენ, კვეკასიონის უღელტეხილზე სიცოცხლის განჭვნის დღიდან და აქამდე არ ჩამქრალან...

თურმე აფხაზეთის ულამაზესი მთა-ბარი, ასე რომ ხიბლავს ადამიანს, მიწისქვეშაც თვალწარმტაცი ყოფილა.

**შ. აკობია,**
**ი. ბოგაჩია,**
**„კომუნისტის“ სპკ. კორ.**

## ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ** მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ყოველწლიური პრემიები თანამედროვეობის თემაზე 1974 წელს შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის მიანიჭა: ნაზი კილასონიას — ახალი პოეტური ნაწარმოებებისათვის; ვახტანგ ჭელიძეს — გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისათვის; რევაზ ჯაფარიძეს — გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მხატვრული ნარკვევისათვის „მწვანე ზამთრის ქვეყანა“.

## ᲛᲔᲣᲕᲘᲓᲐᲡᲐᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ** დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენთ გადაყვანილ-ა მეშვიდასმილიონე მგზავრი. ეს იყო კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მეწყობი ზეინკალი ო. ბ. თოხაძე, რომელიც საქარხნო რაიონის ახალ საცხოვრებელ მასივში ცხოვრობს.

მეტროპოლიტენის უფროსმა შ. ხიზანიშვილმა იუბილარ მგზავრს საზეიმო ვითარებაში გადასცა მეტროთი მგზავრობის უფასო ბილეთი.



## ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲰᲘᲠᲝᲜᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲗᲐᲖᲔ

ზაფხულია... ზაფხულია...
დგას კაშკაშა დარი,
ბანაკებში წითელ ალმებს
არხევს ნიავქარი,
ჩვენი ლაღი სიმღერები
ესმით მთებს და ჭალებს
და უსაზღვრო სიხარულით
გული გვიფრთხიალებს.

თვალს იტაცებს სილამაზე
მშობლიური მხარის; —
ჩვენი ქვეყნის დასადარი
არსად, არსად არი!...

ზოგნი მთებში დავბინავდით,
ზოგნი კიდევ ზღვაზე,
თოლიებიც იღვიძებენ
ჩვენს საყვარლად ხმაზე,
ყოველ დილით მზე სიცილით
გვიხსნის ცისკრის კარებს,
ყოველ ღამე გვიფერებს
გაბადრული მთვარეც...

ჩვენი დიდი მზრუნველის და
ჩვენი ამაგდარის — —
ჩვენი ქვეყნის დასადარი
არსად, არსად არი!...

სექტემბერში გამზრდელ
სკოლას
ვესტუმრებით ისევ,
ვომ პიონერთლად
შევასრულოთ
ჩვენი სიტყვა მტკიცე.
კვლავ ხალისით დავიწყოთ
წიგნებს — ცოდნის წყაროს,
როგორ ბეჯითი, კარგი სწავლით
ჯილდო გაგიხარდთ...

ბალტიიდან ბათუმამდე
რეკს სიცოცხლის ზარი.
ჩვენი ქვეყნის დასადარი
არსად, არსად არი!...

**ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲑᲨᲘᲚᲐᲕᲐ.**



**ᲡᲐᲮᲢᲠᲘᲡ ᲮᲣᲛᲠᲝᲕᲐ**

**ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ.**
ა. ᲔᲠᲐᲫᲘᲡ ნახატი.



# ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲝᲛᲘᲯᲐᲠᲐ, ᲗᲣ?!.

**ᲔᲠᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲒᲐᲜᲬᲘᲜᲔᲑᲐ**

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ კლუბში მუშებსა და თანამშრომლებს თავი მოეყართ. არ გეგონოთ კრების დაწყებას ელოდნენ. ან ახალი გადიდებული ვალდებულების აღებას აპირებდნენ. არა, მათ სრულებით არ ეტყობოდათ სიზეიმი განწყობილება...

— გაცო, ამ ათი დღის წინათ არ იყო ამ კლუბში სასამართლო პროცესი?

— იყო და ახლა ისეთსავე საქმეს არჩევენ.

— ჩვენი კლუბი სასამართლოს დარბაზად გაგვიხადა უპატიოსნო ხალხმა...

— სასამართლო მობრძანდება, — გამოაცხადა მდივანმა ქალმა და დარბაზში მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ.

პირველი მაისის სახალხო სასამართლომ ს. მილორავას თავმჯდომარეობით თბილისის რძის კომბინატის კლუბში სასამართლო პროცესი დაიწყო. ირჩეოდა სამართალში მიცემული ყარამან დავითის-ძე ბედოშვილის სისხლის სამართლის საქმე. მას სასამართლომ სასჯელის ზომად შეუფარდა წელიწადნახევრის ვადით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

რა ჩაიდინა, რა დანაშაულისათვის მიუსაჯეს ყ. ბედოშვილს პატიმრობა?

იგი თბილისის რძის კომბინატში მუშაობდა მტვირთავად მუშად, რძის ნაწარმს ტვირთავდა ავტომანქანაზე და შემდეგ მას მძღოლი-ექსპედიტორი ანდრონიკ აკოფიანი აბარებდა თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებს. ყ. ბედოშვილი, როგორც თვითონ ამბობს, დილით გამოცხადდა სამუშაოზე, მაგრამ დანიშნულ დროს პროდუქტების მისაღებად არ მოვიდა მძღოლი-ექსპედიტორი ა. აკოფიანი. ყ. ბედოშვილმა გასაღების განყოფილებამი მაგიდაზე ნახა ა. აკოფიანის სახელზე გამოწერილი ზედდებული. ა. აკოფიანს მისთვის მიმაგრებული ავტომანქანა აქვე რძის კომბინატის ეზოში ჰყავდა დაყენებული და გასაღებიც მანქანაში იყო. ბედოშვილმა აამუშავა ავტომობილი, მიიყვანა საწყობთან და რძის პროდუქტებით დატვირთა, რაშიც მუშა შოთა ხორცბალაძე ეხმარებოდა.

თბილისის რძის კომბინატში ასეთი მეთოდით მუშაობა თურმე წესად ყოფილა დანერგილი.

ყ. ბედოშვილმა საწყობის გამგეებს ალეკო კვინიკაძისა და ვაჟა წიქვაძეს თვალსა და ხელშუა „აართვა“ (?!) 168 მანეთის რძის ნაწარმი. როგორც ა. კვინიკაძისთან, ისე ვ. წიქვაძესთან ყ. ბედოშვილს პროდუქტების მიღებაზე ხელი არ მოუწერია. საკვირველია, რომ საწყობის ეს გამოცდილი მუშაკები, რომლებსაც დიდი რაოდენობით სახელმწიფო დოვლათი ებარიათ, ასეთი „ბულმავიწყები“ არიან.

მაშინ, როცა ყ. ბედოშვილს ნაქურდალი რძის პროდუქტებით დატვირთული ავტომანქანა გამოჰყავდა კომბინატის ტერიტორიიდან, შ. ხორბალაძემ შეამჩნია, რომ 50-კილოგრამი შაქრით სავსე ტომარა თურმე უპატრონოდ ეგდო რძის კომბინატის ეზოში (?!). ჰოდა იგიც მანქანაზე დაუდეს და ხელს გაასყოლეს.

კომბინატის ჭიშკარში გამოსვლისას დაცვამ მანქანა არც გასინჯა და არც შეამოწმა, თუ რა რაოდენობის პროდუქტები გაჰქონდათ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩაში მანქანას, რომელსაც ყ. ბედოშვილი მართავდა (რისი უფლებაც მას არა აქვს), მძღოლი-ექსპედიტორი ა. აკოფიანი დაუხვდა და საჭეს მიუჯდა, და... მათ მოლიციის განყოფილებაში ამოჰყვეს თავი.

აი ასეთი საქმე მიიღო ჭ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პირველი მაისის საგამომძიებლო განყოფილებამ. გამომძიებელმა დ. ნამიჭეიშვილმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა ყ. ბედოშვილის მიმართ და მას, როგორც შემოთ ვთქვით, სასამართლომაც პატიმრობა მიუსაჯა. რამდენად სრულყოფილად იქნა საქმე გამომძიებული, ამაზე მეტყველეს ის, რომ სასამართლომ ამ საქმეზე ოთხი ეპრმ განხილება გამოიტანა. შაქრიანი ტომრის დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა შოთა შალვას-ძე ხორბალაძე; კომბინატის პროდუქტების გაცემის კანონსაწინააღმდეგო წესის დარღვევისათვის, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების დატაცებას, აგრეთვე საწყობის გამგეების ალეკო ბაგრატის-ძე კვინიკაძისა და ვაჟა მიხეილის-ძე წიქვაძის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებისათვის კერძო განჩინების ასლი ზომების მისაღებად და რეგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრს, ასევე — თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორას ანდრონიკ გალუსტის-ძე აკოფიანის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიების გატარებისათვის; რძის კომბინატის დაცვის მუშაკების მკაცრად დასჯისათვის კერძო განჩინება გადაეგზავნა ქ. თბილისის პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიონყოფილების არასაუწყიერ დაცვის უფროსს.

ეს სასამართლო პროცესი თბილისის რძის კომბინატის კლუბში 11 ივნისს გაიმართა. ათიოდე დღით ადრე კი 28 მაისს ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ ამავე კლუბში ანალოგიური დანაშაულისათვის გასამართლა მძღოლი-ექსპედიტორი ავთანდილ პავლეს-ძე ბიბილაშვილი. თურმე მსჯავრდადებულმა ა. ბიბილაშვილმაც საწყობის გამგეებს ა. კვინიკაძესა და ვ. წიქვაძეს „მოპპარა“ 503 მანეთისა და 40 კაპიკის რძის პროდუქტები.

ხოლო რაც ყველაზე საოცარია, ორივე ჭურდობა ერთსა და იმავე დღეს მოხდა — 29 მარტს.

და შეიძლება კაცმა იკითხოს — რა ხდება თბილისის რძის კომბინატში, მართლა იპარავენ, თუ?..

**ბ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ.**



**ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ**

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სამგზ ᲙᲣᲗᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

**ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ**

**ᲝᲠᲘ** დღეა თბილისს სპორტის სასახლეში შემდინარეობს სსსპარტაკიადო ტურნირი სამბოში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ხუთი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. გუშინ საღამოს შედგა დასკვნითი ორთაბრძოლები.

48 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა შორის პაექრობა ჰქონდათ ბ. აკილოვსა (უზბეკეთი) და ა. ჟულანოვს (ბელორუსია). აქ წვრნდა გამარჯვება მოიპოვა ბ. აკილოვმა, რომელსაც მიეკუთვნა ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედალი დაიმსახურა ვ. კარანავსკიმ (ესტონეთი), ბრინჯაოსი — ა. ჟულანოვმა.

პრიზიორთა გამოსავლინებლად 57 კილოგრამამდე წონაში საჭირო გახდა ორი შეხვედრის გამართვა ფინალში. ჯერ ვ. კიულენენმა (ლენინგრადი) ჟულებით სძლია ნ. სულეიმანოვს (უკრაინა), ხოლო შემდეგ — ა. სონგაილას (ლიტვა). ოქროს მედალი მიჰყავს მიწისქვეშა მუზეუმისაკენ.

ეი ადამიანთა თვალწინ გადაიშალა მიწისქვეშეთის საოცარი სამყარო, სადაც ბუნება მთელი ორი მილიონი წლის მანძილზე აშენებდა, აქანდაკებდა უიშვიათეს „ექსპონატებს“. ადამიანი მხოლოდ აქ შეხვდება კალციტის „ყვავილებს“, ასეულ ათასი წლის წინათ რომ ამოიწვარა ზეოკეანური ქანებიდან და დღემდე განაგრძობს ზრდას, გიგანტურ „სანთლებს“, ჩაბნელებულ დარბაზებში რომ კიაფობენ, კვეკასიონის უღელტეხილზე სიცოცხლის განჭვნის დღიდან და აქამდე არ ჩამქრალან...

თურმე აფხაზეთის ულამაზესი მთა-ბარი, ასე რომ ხიბლავს ადამიანს, მიწისქვეშაც თვალწარმტაცი ყოფილა.

**შ. აკობია,**
**ი. ბოგაჩია,**
**„კომუნისტის“ სპკ. კორ.**

## „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲙᲘᲛᲝᲜᲝᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

**ᲞᲘᲖᲘᲜᲘᲝᲜᲘ.** 5 ივლისი (ტელეფონით). ძიუდოისტთა ასეთი ტურნირი კიშინიოველებს ჯერ არ ახსოვთ, ამიტომ, ბუნებრივია, შეჯიბრებისადმი ინტერესიც დიდია. აქ ყურადღების ცენტრში არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც ფავორიტებად თვლიან.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ხპორტსმენის იმ გმირობას, რომელიც მძიმე წონაში გ. ონაშვილმა გამოიჩინა, მაგრამ მისი გზა ფინალისაკენ სულ უფრო ძნელი ხდებოდა. სამსაციერო, წინ მიიწევდა საქართველოს მეორე ათლეტი ჯ. ნიკარაძე და ა ი ფინალიც — აქ მისი მეტოქე აღმოჩნდა კონტინენტის ვერცხლის პრიზიორი უკრაინელი ს. ნოვიკოვი. დასაწყისშივე მეტოქის შეცდომამ და ერთმა ჭულამ ს. ნოვიკოვს ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოუტანა. ჯ. ნიკარაძე ვერცხლის პრიზიორი გახდა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბ. ონაშვილმა და ლენინგრადელმა ი. ანდრონიკოვმა.

ქვეყნიერ ონაში სპარტაკიადის ახალ ჩემპიონს გუშინ გავეცნოთ. ეს უმაღლესი ტიტული დაიმსახურა რ. ხარშილაძემ. მისი მეტოქე ფინალში იყო მოსკოველი ვ. კინში. ამავე წონაში საქართველოდან გამოდიოდა ო. ხუბულური. მართალია, დასაწყისში მან წააგო ერთი შეხვედრა ვ. კინაშთან, მაგრამ მაინც შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება. ასევეა ხარისხის მედალი ხვდა ე. სოლოდუხინს (მოსკოვი).

წინ არის შეხვედრები ქვესაუალო და საშუალო წონებში, რომლებიც დღეს გაიმართება და ხვალინდელი ორთაბრძოლები მსუბუქ წონაში და აბსოლუტურ პირველობაზე.

## ᲡᲤᲠᲐᲤᲘ ᲞᲝᲠᲑᲚᲔᲑᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** კაუნასში გაიმართა სასპარტაკიადო საგზატეხილო ველორბოლა 100 კილომეტრზე. წარმატებით გამოვიდნენ რსფსრ-ის ველომრბოლები, რომლებმაც ჩემპიონობა დაიმსახურეს.

## ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲣᲘᲛᲒᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

**ᲨᲔᲠᲔᲣᲚ** წყვილთა ნახევარფინალში ო. მოროზოვასა და ა. მეტრეველის მეტოქეები იქნებიან ჰოლანდიელი სტოუვი და ავსტრალიელი სტიუნი.

შეგახსენებთ, რომ ა. მეტრეველი და ო. მოროზოვა ორჯერ — 1968 და 1970 წლებში გავიდნენ უიმბლდონის ფინალში.

17 წლის ნატალია ჩმირეოვა წარმატებით მონაწილეობს იუნიორთა ასპარეზობაში. ახალგაზრდა მოსკოველმა დამაჯერებლად დაამარცხა ელ მარაში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა) — 6:1, 6:0, შემდეგ ფინალი დიუპუი — 6:0, 6:0, ბოლოს ინგლისელი ტაილერი — 6:3, 6:2 და ნახევარფინალში გავიდა.

ვაჟთა ერთეულებში ფინალისტები არიან ამერიკელი არტურ ეში (ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ავსტრალიელი ენტონი როჩი — 5:7, 6:4, 7:5, 8:9, 6:4) და მისი თანაგუნდელი ჯიმი კონორსი.





## ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ, ᲪᲣᲒᲪᲕᲐᲜᲒᲘ!

**ᲪᲣᲒᲪᲕᲐᲜᲒᲘ** მოკადრაკეთა ერთ-ერთ კარგად ცნობილი ტერმინია, რაც გერმანულად იძულებით სვლას ნიშნავს; როცა ვითარება ისეთია, ხარბიელია საკადრაკო დაფაზე და ყოველი სვლა პოზიციას აუარესებს, ამბობენ, რომ შავები (ანუ თეთრები) ცუგცვანგში არიანო. მეტოქის ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩაგდება სანახაობითს ეფექტს იწვევს და ხიბლავს მაყურებელს. ამიტომ საკადრაკო კომპოზიცია დიდიხანია წარმატებით იყენებს მას საინტერესო და შთამბეჭდავი ნაწარმოებების შესაქმნელად.

ამოცანების დიდი რაოდენობა ცუგცვანგზეა აგებული. განსაკუთრებით იზიდავდა ეს ხერხი გასული საუკუნის პრობლემისტებს, რომლებმაც ზედმიწევნით დაამუშავეს იგი. ამის მიზეზია სწორედ ის, რომ დამწყები ავტორი, რომელიც შავების ცუგცვანგზე აგებს თავის ნაწარმოებს, უმეტესად კლასიკური მემკვიდრეობის არცოდნის „მხვერპლი“ ხდება და, ბუნებრივია, უკვე არსებულ ამოცანებს იმეორებს.

ცხადია, სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ცუგცვანგზე შედგენილი თანამედროვე ამოცანა ორიგინალური იყოს. ოღონდ, წესისამებრ, ახეთი ოპუსები უკვე გამოცდილი კომპოზიტორის ხელით არის ხოლმე შექმნილი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს, ცნობილი ქართველი პრობლემისტის **ᲝᲗᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲘᲡ** ხამსვლიან ამოცანას, რომელმაც რესპუბლიკის I პირად პირველობაზე უმაღლესი ადგილი დაიკავა.

**Ო. ᲗᲐᲑᲘᲫᲔ, 1948.**



**ᲨᲐᲛᲐᲗᲘ Ზ ᲮᲡᲚᲐᲨᲘ**

ველით თქვენს ამოხსნებს, მეგობრებო!

**ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲘ ᲥᲔᲠᲘᲫᲔ.**

## ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ?

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 18 მაისის ნომერში დაბეჭდილი ი. სეგის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა 1. მd7! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა მოძებნა მხედრის ერთადერთი სწორი სვლა: მ. კინწურაშვილი (ცხაკაია), ზ. ბებურია, კ. ფცელაძე (ორივე — სოხუმი), მ. ბერიაშვილი (ყვარელის რ. საბუეე), ლ. მჭედლიშვილი, შ. არაბული (ორივე — თელავი), კ. გუბელაძე (ზუგდიდის რ. ახალსოფელი), მ. კურტანიძე (ორჯონიკიძე), ო. ბენდელიანი, ფატი ქაქუთია (ორივე — ზუგდიდი), ა. ალსაზაშვილი (ქუთაისი), გ. ნანავა (გეგეჭკორის რ. დიდი ჭყონი), ზ. ნოდია (ფოთი), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ა. და ჯ. ჭიკაშვილები (ორჯონიკიძის რ. ისლარი), ბ. ყიფშიძე (აგუძერა), ბ. დათიაშვილი (ბურჯაანის რ. ველისციხე), კ. ოსიტაშვილი (ზნაური), ჟ. ცქვიტაია (ჩხოროწყუს რ. ჭოცა), თ. ჯორთმელაძე (ქედის რ. დანდალო), ნინო ლომინეიშვილი (ლანჩხუთის რ. ჩოჩხათი), ა. სანაპვილი (დუშეთი), ბ. ზაქარიაძე (ბორი), თ. ცოტნიაშვილი (ცხინვალის რ. ერგდვი), ფ. ბერიშვილი (ბურჯაანი), რ. კაბიძე (ხელვაჩაურის რ. ქვემო ჩხუტუნეთი), ჭ. ბარბაქაძე (ლაგოდეხის რ. ჭაბუკიანი), გ. ჩიქოვანი (ჩხოროწყუს რ. მუხური), ე. გეგელეხიანი, მ. ყაულიშვილი, რ. კიკალიშვილი, (ყველა რუსთავი), ვ. მაგაზოიძე, ი. კანდელაკიშვილი, ა. ბაბუნაშვილი, გ. ხვედელიძე, ა. ღირსიაშვილი, ტ. და ო. მამულაშვილები, მ. ზედგინიძე, ზ. მაჩიტაძე, ვ. არჯევანიძე, ვ. კახაბრიშვილი, ლ. ფოფხაძე, დ. ჩინნაკალაძე, ლია და ლალი ტურიაშვილები, გ. ქადაგიშვილი, ა. თათულაშვილი (ყველა — თბილისი).

□

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ გამართული აშშ-ისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩის პირველი დღის შემდეგ საბჭოთა ვაჟთა გუნდი იგებდა ანგარიშით 55:39, ჩვენი ქალები კი წინ იყვნენ 49:24.

წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები (ა. კორსელიუკი, ნ. კოლესნიკოვი, ა. აკსინინი და ვ. ბორზოვი) ამანათრბენში 4X100, რომელშიც ევროპის საუკეთესო დრო აჩვენეს მიმდინარე სეზონში — 38,7.

## ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲪᲮᲠᲝᲜᲔᲑᲖᲔ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-14 ტურის მორიგი 7 მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. ინ ვის ვინ ვინ?

„დინამო“ — „ზენიტი“; „სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“; „სოკოლნიკოვი“ — „დინამო“ მ.; „დინამო“ — „ტორპედო“; „პახტაკორი“ — „ზარია“; ხკა — „კარპატი“; „დინამო“ თბ. — „შახტიორი“.

ამ ტურის ბოლო შეხვედრა („სპარტაკი“ — ცსკა) გაიმართება ხვალ მოსკოვში, ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე.

## ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ლონეცკის „შახტიორის“ სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

ანგარიშით 1:0 (0:0) გაიმარჯვეს სტუმრებმა.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაგოშიძე (ინსაძე), ფ. რეხვიაშვილი, კანთელაძე, ჩივაძე, მოკანი (ვაჟაშელი), ქანთარია, მშვედლიშვილი, გ. მიჩაიძე, შელია, ყორდანია (მინაშვილი), შენგელია.

## ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

**ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ** „Ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებს შედეგები ლიდერთა მონაწილეობით: დუშანბეში „პამირი“-ბაქოს „ნეფტჩი“ — 1:0, ნალჩიკის „სპარტაკი“-მინსკის „დინამო“ — 0:0; კიშინიოვის „ნისტრუ“-პერმის „ზვეზდა“ — 0:2; სიმფეროპოლის „ტავრია“-სვერდლოვსკის „ურალმაში“ — 4:2.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲠᲘᲡᲤᲘᲜᲨᲘ

□

### ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲗᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲨᲘ

**ᲐᲮᲐᲚᲘ** ქართული მხატვრული ფილმი „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“ სამი ნოველისგან შედგება. პირველი ნოველა „ძალლი